## თანადაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- განაცხადი (ფორმა იხილეთ - www.moa.ge);
- განმცხადებლ(ებ)ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლ(ებ)ი;
- მიწის ნაკვეთის საკუთრების/ იჯარის / აღნაგობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან), იჯარის / აღნაგობის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის / აღნაგობის ხელშეკრულება;
- თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, ერთ-ერთი თანამესაკუთრე წარადგენს სხვა თანამესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას ან/და თანხმობას ან/და ყველა თანამესაკუთრის მიერ ხელმოწერილ თანხმობის დოკუმენტს, რომლის შინაარსისა და ხელმოწერების ნამდვილობაზეც პასუხისმგებელი იქნება დოკუმენტის წარმომდგენი;
- შესასყიდი საქონლის / მომსახურების ინვოისი / ხელშეკრულება;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების შემთხვევაში);
- წესდება / კრების ოქმი / (სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების შემთხვევაში) ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ;
- სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული შესასყიდი საქონლის საბაზრო ფასებთან შესაბამისობის დადებითი დასკვნა *(ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე)*;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის რიგითობასა და საჭიროებას განსაზღვრავს სამინისტრო.

**!** განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს უშუალოდ განმცხადებლის მიერ;

**!** განმცხადებელს უფლება აქვს ღონისძიების მიმართულებების ფარგლებში წარადგინოს არაუმეტეს **ერთი** განაცხადი, ამასთან არაუმეტეს **ერთი** მიმართულებით.

## განაცხადები მიიღება შემდეგ მისამართებზე:

| | | |
|---|---|---|
| **ქობულეთი** | | თავისუფლების ქ. №100 |
| **ბათუმი** | | აკადემიკოს მ. კომახიძის ქ. №119 |
| **ხელვაჩაური** | | დიდაჭარის ქ. №23 |
| **ქედა** | | 26 მაისის ქ. №1 |
| **შუახევი** | | ს. ხიმშიაშვილის ქ. №2 |
| **ხულო** | | დ. აღმაშენებლის ქ. №3 |

## საკონტაქტო ინფორმაცია:


+995 (422) 24 78 16

www.moa.ge

contact@moa.ge

fb.com/MinistryOfAgricultureOfAjara

საქართველო, 6010, ქ. ბათუმი,
აკადემიკოს მ. კომახიძის ქ. №119


# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო




## სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა




www.moa.ge

## მიზანი

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების მხარდაჭერა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გზით.

## პრიორიტეტული მიმართულებები

**მემცენარეობა:**

- ნერგების შესყიდვა;
- აგროქსოვილის შესყიდვა;
- სარწყავი სისტემების შესყიდვა;
- საყრდენი სისტემების შესყიდვა;
- სიცხისა და სეტყვისგან დამცავი საშუალებების შესყიდვა;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაბამისი მოცულობის სამაცივრე დანადგარების შესყიდვა-მოწყობა.

**მეცხოველეობა:**

- მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების შესყიდვა-მოწყობა;
- მეცხოველეობის საკვებწარმოებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების შესყიდვა-მოწყობა;
- მეცხოველეობის ფერმ(ებ)ის აღჭურვა-მოწყობისათვის საჭირო ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა-მოწყობა;
- სამაცივრე დანადგარების შესყიდვა-მოწყობა.

**ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებები:**

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა;
- პროდუქციის წარმოება-გადამუშავებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების შესყიდვა-მოწყობა;
- სამაცივრე დანადგარების შესყიდვა-მოწყობა;
- კლიმატის შემქმნელი ენერგომატარებლების შესყიდვა-მოწყობა (ენერგიის ალტერნატიული წყაროების დანერგვა: ბიოგაზი, მზის პანელები და სხვა).

## ბიუჯეტი

პროექტების თანადაფინანსების თანხა - **1,861,954 ლარი**.

თანადაფინანსების ოდენობა - არანაკლებ - **500.00** და არაუმეტეს - **20,000.00 ლარი**, რაც პროექტის ჯამური ღირებულების **არაუმეტეს - 70%-ია**, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა - **არანაკლებ - 30%**.

! პროექტის თანადაფინანსება (სუბსიდირება) ***ერთეულ პროექტზე*** (*ერთეულ საქონელზე*, გარდა მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბაღების გაშენების კომპონენტის ფარგლებში შესასყიდი საქონლისა (ნერგი, წვეთოვანი მორწყვის სისტემა, აგროქსოვილი და ა.შ.)) შეადგენს არანაკლებ - **500.00 ლარს** და არაუმეტეს - **20,000.00 ლარს**.

! სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბაღების კომპონენტში *არანაკლებ* - **0.1 ჰა**, *არაუმეტეს* - **0.5 ჰა-მდე;**

! სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებების შემთხვევაში:

I. საოჯახო მეურნეობისათვის - არანაკლებ **0,25 ჰა** (დასაშვებია ცვლილება „-1%“);

II. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებისათვის - არანაკლებ **1,5 ჰა** (დასაშვებია ცვლილება „-1%“);

III. თხილის სარჩევის, საკრეფისა და სატეხი დანადგარის შემთხვევაში - არანაკლებ **0,5 ჰა** (დასაშვებია ცვლილება „-1%“).

ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდება მხოლოდ ერთი სახეობის და ერთი ერთეული ***სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა***:

**I. საოჯახო მეურნეობისათვის** - არანაკლებ ***500.0 ლარი, არაუმეტეს*** *1,200.0 ლარი;*

**II. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა და ამხანაგობისთვის** (რომლებიც აერთიანებენ არანაკლებ **5 წევრს**) - არანაკლებ ***500.0 ლარი, არაუმეტეს*** **20,000.0 ლარი.**

## არ ფინანსდება

× უძრავი ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობები), კონსტრუქციების, სამშენებლო მასალების, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესყიდვა;

× საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;

× საწარმოში წილის შესყიდვა;

× კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა;

× საოპერაციო ხარჯი;

× საბრუნავი საშუალებები;

× შესაღობი მასალები;

× ცოცხალი ცხოველის შესყიდვა;

× სასათბურე მეურნეობის მოწყობა, განახლება, აღჭურვა;

× საოჯახო ღვინისა და სპირტის წარმოებისათვის საჭირო ინვენტარი და დანადგარი;

× ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და სატრანსპორტო მისაბმელის შესყიდვა;

× სამინისტროს პროგრამების ფარგლებში 3 წლის განმავლობაში დაფინანსებული ანალოგიური სახეობის წარმოების საშუალებები (გარდა ახალი მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურის ბაღის მოწყობისა).

## ღონისძიების განხორციელების ეტაპები:

1. განაცხადების მიღება
2. რეესტრის ფორმირება
3. მონიტორინგი
4. ბენეფიციართა შერჩევა
5. ხელშეკრულების გაფორმება
6. სახელშეკრულებო პირობების განხორციელება
7. შედეგების მონიტორინგი